

## საქართველოს მთის მოსახლეობის ეთნოისტორიულან (სვანეთის რამდენიმე სოფლის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით)<sup>1</sup>

სვანეთის რამდენიმე სოფლის მკვიდრ გვარსახელთა ეთნოისტორიული კვლევა ადასტურებს, რომ აქაც არცთუ იშვიათია სხვა კუთხეებიდან მიგრაციის შემთხვევები. თუმცა აქაურები ადრინდელ საცხოვრისად სვანეთს, ძირგვარად და ძირსალოცავადაც სვანეთის მკვიდრ გვარებს და სვანურ სალოცავებს ასახელებენ. სვანთა სხვა კუთხეებში დამკვიდრების მიზეზებიც მიწის სიმცირე, სოციალური დაპირისპირება და მათი, როგორც ერთგულთა, საქვეყნო, მეფის სამსახურში მოხვედრაა.

წარმოვადგენთ სვანეთის მხოლოდ რამდენიმე სოფლის ძირითად მკვიდრ გვართა ეთნოისტორიული კვლევის შედეგებს.

ქვემო სვანეთის მკვიდრი **გუჭეჯიანის** ადრინდელი საცხოვრისი იყო ქვემო სვანეთის სოფელი ეცერი. წინაპარი გაქცევია სოციალურ უთანხმოებას. გაქცეულა პირველი ღამის გამოყენების წინააღმდეგ ამხედრებული ორი ჯანმრთელი ძმა. მესამე სნეული ადგილზევე დარჩენილა, რადგან მას არავინ ერჩოდა. ძმებს საბოლოოდ ვერ დაუტოვებიათ სვანეთი და მულაბის ძლიერი თემის წმინდა გიორგის ხატზე დაუფიცებიათ, თუნდაც სიკვდილის ფასად, სვანეთში ცხოვრება და სოფელ ჭოლაში დასახლებულან. აქედან გადმოსახლებულა ლემზაგორში მამიდასთან ჭოლას მკვიდრი, უმშობლოდ დარჩენილი რევაზი, ბრუჟაკი და გუსენი. აქაურები ჭოლას წმინდა გიორგის სალოცავზე დადიან.

გუჭეჯიანთა გვარის ისტორია საინტერესოა ქართველთა სოციალური ყოფის შესწავლის თვალსაზრისითაც. დგინდება, რომ მთის ჩვეულებითი სამართალი პასუხს არ სთხოვდა სნეულს და ფიზიკურად შეუძლო ადამიანს.

**ქალღანები** პავლე ინგოროყვას მიერ გამოცემულ „სვანეთის საისტორიო ძეგლებში“ ქალღანებად იხსენიებიან. გვარსახელი ეპონიმურია; ნაწარმოები უნდა იყოს საკუთარი სახელისაგან **ქალღან** (ალ. ლლონტი, 1986, გვ. 204).

„თავიდან მოშორების მიზნით თემს გადაუწყვეტია შვილებთან ერთად ამოეწყვიტათ სოფლის მკვიდრი ჩვენი წინაპრის ერთი ოჯახი. გვარის წინაპარ აღმასგირისათვის ეს ამბავი გაუმხელა მის საყვარელ ქალს. ამის საფუძველზე გაქცეულა აღმასგირი კოდორში. აქ იგი დაპირისპირებია აფხაზებს და გამოქცეულს, არ ვიცით რატომ, მაგრამ თავი მოუკლავს. აღმასგირთან ერთად გამოქცეულან მისი შვილებიც და წასულან სამეგრელოში, სოფელ ჯვარში. ოჯახში, სადაც პირველი ღამე გაათიეს, ჩაესიდა კიდევ ერთი ძმა და მიიღო გვარი **ქარდავა**. ორი ძმა გარკვეული დროის შემდეგ წამოსულა და დასახლებულა სოფელ ცხომარში საკუთარი გვარით. იმ ორიდან ერთმა იყიდა მიწა სამოსახლოდ სოფელ ლადარში, ლენტეხის რაიონში და გახდა სოფლის მაცხოვრის ეკლესიის ყმა. აქვე შეეძინა სამი შვილი, მაგრამ ისევ უთანხმოების მიზეზით, მალევე აყრილან და გაქცეულან მულაბის მიმართულებით. ამ დროს მულაბ-მუჟალის

<sup>1</sup> ნაშრომში წარმოვადგენთ სვანეთში სტუდენტური ექსპედიციის დროს მოძიებული რამდენიმე სოფლის მკვიდრ გვართა ეთნოგრაფიული მასალების ანალიზს.

თემი აგებდა მაცხოვრის ეკლესიას, კოშკს და სახლს. მიუღიათ მონაწილეობა მშენებლობაში მისულ ქალღანებს. მათ მონაწილეობა მიუღიათ იმ არაქვეანის გარკვევაშიც, რომელსაც უნდა გამოეველინა ახლად აგებულ სახლში მცხოვრები. წილად რგებია ზადგერ ქალღანს. ამის შედეგ ზადგერის ერთი ძმა დასახლდა მუჟალში, მეორე ადიშში. მათგან წამოვიდა ჩვენი ლამხუბები: „ზადგერშ“, „დავითილშ“ და „გაგუშ“. წელიწადში ერთხელ ყველა ამ ლამხუბის წევრი ქალღანები იკრიბებიან იმ ადგილებში, სადაც ცხოვრობდნენ. ვილოცებით, ძმობას ვამტკიცებთ. გვარში არავინ მიგვიღია. გვარგატეხილობის შემთხვევა არ არის. ჟამუშში საცხოვრისს ჰქვია „ზადგერშათა“ — „ზადგერების უბანი“. ზესხო ქალღანებს საცხოვრებლად მოეწონათ და აქ დამკვიდრდნენ კიდევ. სოფელ ზესხოში ქალღანებიდან პირველი ნესტორ ქალღანი მოსულა. ამავ მიზეზით დასახლებულან ზესხოში **გამყრელიძეები, გიგანები, კაკრიაშვილები, ქოჩიანები და დევდარიანები.**

ყველაზე ადრინდელი ცნობა, სადაც **გამყრელიძეა** მოხსენიებული, თარიღდება 1458 წლით: „გამყრელიძე შალვა — ჰყავს შვილები: ინდუა, მამისა. გიორგი მეფემ მას გაუჩინა სისხლის ფასი — 220000 ძველი ცხუმური თეთრი“ (პალ, 1991, გვ. 597).

გამყრელიძეები წერეთელთა და რაჭის ერისთავთა აზნაურები არიან.

ძირით რაჭული გამყრელიძის გვარის სვანურობა უკავშირდება XVI საუკუნემდე სვანეთის მიერ რაჭის ფლობის ისტორიულ სინამდვილეს.

კვლევისას კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ გვიან შუა საუკუნეებში ქართველ ერში შიდა და გარეპოლიტიკური ზემოქმედების შედეგად ხდებოდა ეთნოსის მრღვევი ისეთი მოვლენები, როგორცაა ქართველების მიერ სარწმუნოების შეცვლა. ისტორია იცნობს ქართველთა გასომხების გაგრიგორიანელების შემთხვევებს. აკაკი წერეთელი გაზეთ „თემში“ (№8) წერდა, თუ როგორ გაგრიგორიანელდა ერეკლე მეორის რჩევით იმერელი შანშე გამყრელიძე მხოლოდ იმიტომ, რომ შეყვარებული სომხის ქალი მართლმადიდებელს არ მიჰყვებოდა. ასე გამხდარა გამყრელიძეთა ერთი ნაწილი გრიგორიანელი შანშიაშვილი.

ზესხო გამხდარა ზემო სვანეთიდან მიგრირებული **გიგანების** საცხოვრისი. მიგრაციის მიზეზად უკეთესი საცხოვრისის, უკეთესი პირობების ძებნა სახელდება. გიგანები ჩამოსახლების შემდეგ დამკვიდრებულან ზუგდიდის რაიონის სოფლებშიც.

გვარსახელს საფუძვლად უნდა ედოს საკუთარი სახელი **გიგა**.

მიგრაციის მიზეზს ასახელებენ აგრეთვე ზემო სვანეთიდან ზესხოში გადმოსახლებული **გუჭეჯიანები** (ამოსავალია საკუთარი სახელი **გუჭეჯი**) და **დევდარიანები**. ეს უკანასკნელი XIV საუკუნიდან იხსენიება: „დევდარიანი ბაბილა — მისი სიმამრი შეაკვდა [...] ანს. კალის ხევს მოახსენა დაწერილის მოპასუხედ დადგომის შესახებ (პალ, 1993, გვ. 63).

გვარსახელს საფუძვლად უდევს საკუთარი სახელი დევდერ/დევდარ > დევდერიანი/დევდარიანი. გვარსახელი იმერეთშიც მკვიდრობს.

შუა საუკუნეებში მეფის მიერ დასაყრდენად და ქვეყნის საიმედოდ აღიარებულ სვანურ გვარებთან ერთად გადმოსახლებული დევდარიანები აქაც აზნაურები იყვნენ.

უშგულის თემის სოფელ მურყმელის მკვიდრი **კაკრიაშვილები** ძირად რაჭველები არიან.

„მეფის სამსახურში, უშგულში საცხოვრებლად დარჩენილი ჩვენი წინაპარი ადრეც კაკრიაშვილი ყოფილა. მაცხოვრის მოკლიტულები ვართ. ეკლესიის მესვეურები ვიყავით. მაცხოვრის ეკლესიის ძირში ვიმარხებით. ვზვიამობთ მაცხოვრობას ღვაჩლიანთან და ჩარქსელიანთან ერთად. გვარის სამხუბია „კაკიშა“. გვარსახელი მოდის საკუთარი სახელიდან **კაკი**.

უშგულში კაკრიაშვილების ერთი ოჯახი მკვიდრობს. დანარჩენი ქვემო ქართლის სოფელ ჯანდარაში გადასახლდნენ სტიქიის შემდეგ. უშგულელი კაკრიაშვილები ცხოვრობენ აგრეთვე: ცანაში, წყალტუბოში, თბილისში, ქარელის რაიონში.

ჩაქაში **ნიჟარაძეების** ძირითადი საცხოვრისი სოფელია სვანეთში. გადმოცემათა მიხედვით, ნიჟარაძეები სვანეთში „ბარიდან ამოსულები“ არიან.

ნიჟარაძეების შუა საუკუნეების იმერეთში მკვიდრობას საისტორიო მონაცემები ადასტურებენ. გვარი 1484-1510 წლების საბუთში პირველად არის მოხსენიებული. ნიჟარაძეები XVII საუკუნეში ცხოვრობდნენ აბაშის რაიონის სოფლებში: ჭიქთუბანსა და ჭანგაში. ისტორიული სამოქალაქოს და პატრიკეთის მკვიდრი ნიჟარაძე იხსენიება 1545 წელს გელათის წმინდა გიორგის დაეთარში. ლანჩხუთის მკვიდრ ნიჟარაძეს იხსენიებს 1733 წლის გუჯარი „გრიგოლ კათალიკოსისა ბიჭვინთისაღმი“. ნიჟარაძე კაცია მოწმეა 1740-იანი წლების იმედის წიგნისა ბესარიონ კათალიკოსისა ქაიხოსრო წერეთლისაღმი და 1739-1752 წლების წყალობის წიგნისა ალექსანდრე მეფის, ქაიხოსრო ქველისა და ნიკოლოზ წერეთლებისაღმი. 1545 წლის ბაგრატ მეფის გელათისაღმი შეწირულების წიგნში იხსენიება „ნიჟარაძისეული“. მოწმე და მდივანი მანუჩარ ნიჟარაძე იხსენიება 1776-1795 წლების თავდებობის წიგნში. იგი მიუცია იოვანე თედორაძეს და აბრამელა მეძმარიაშვილს მაქსიმე კათალიკოსისაღმი.

საკუთარი სახელიდან ნიჟარა/ნიჟარაი? ნაწარმოები გვარსახელი ნიჟარაძე ნ. ბერძენიშვილს იმ სვანურ გვართა ვარჯებს შორის ჰყავს მოხსენიებული, რომლებიც გააზნაურდნენ ვარდანიძეების კვალობაზე.

ნიჟარაძეთა სათავადოს ჩამოყალიბება XVI ს. პირველი ნახევრით თარიღდება. გვარის წარმომავლობის შესახებ ო. სოსელიას გადმოცემა ჩაუწერია ზედა მაღლაკში, რომლის მიხედვითაც: სვანეთიდან წამოსული სამი ძმიდან ერთი ქუთაისში დასახლებულა, მეორე აჭარაში და მესამე აფხაზეთში. ქუთაისის მკვიდრი ნიჟარაძე იმერთა მეფეს აფხაზეთა მთავართან მოციქულად გაუგზავნია დადიანთან ბრძოლისთვის მოსალაპარაკებლად. უკან ტივით დაბრუნებული, დავალებზე წარმატებით თავგართმეული ნიჟარაძისთვის მეფეს უბოძებია ადგილ-მამული ქუთაისიდან გუბისწყლამდე.

სხვა მასალით, ნიჟარაძე დალესტნიდან მოსულა იმერეთში, ქუთაისში. აქედან გადასულა მაღლაკში (ო. სოსელია, 1981, გვ. 150).

შეიძლება დავუშვათ, რომ ვახუშტის მიერ „უწარჩინებულეს გვართა შორის დასახლებულ ნიჟარაძეთა თავდაპირველი საცხოვრისი იყო სვანეთი. მოსალოდნელია, რომ სვანეთიდან იმერეთში გადმოსახლებული ნიჟარაძეების ნაწილი ისევ თავის ძირსაცხოვრისში გადასახლდნენ და ამის გამო არის უშგულელ ნიჟარაძეებში გადმოცემა იმერლობაზე.

<sup>2</sup> სახელი მოხსენიებულია პ. ინგოროყვას მიერ გამოცემულ სვანეთის საისტორიო ძეგლების მეორე ნაკვეთში („მატიანე სვანეთისა კრებისაი“)

ნიქარაძეები<sup>3</sup> დღესასწაულობენ მკათათვის დღესასწაულს „მკხე თახეშ“. გვარში არის რამდენიმე ლამხუბი: „ქუჩეშა“; „მარშანშა“; „ვაბეშა“; მინაშა“; „ქალდანშა“; „ლოშიშიშა“; „სუთმაამშა“.

გვარი **ჩარკვიანი** სვანეთის საისტორიო ძეგლებში იხსენიება XIV საუკუნიდან. დასტურდება XV-XVI-XVII საუკუნეებში (ვ. სილოგავა, 1988). სავარაუდოდ, საკუთარი სახელიდან **ჩარაგა/ჩარგა/ჩარგვა/ჩარკვა** მომდინარე გვარის ძირითადი საცხოვრისი უბატონო სვანეთია. აქედან განსახლდნენ ისინი დანარჩენ საქართველოში.

ეთნოგრაფიული სინამდვილე: „წინაპარი უშგულიდან ჩამოსულა XX საუკუნის ოცდაათიან წლებში ცანაში დარიშხანის წარმოებასთან დაკავშირებით. საერთოდ, ძველი საცხოვრისია ლენჯერი და ლატალი. აქედან გადასულან უშგულში. ცხოვრობენ აგრეთვე ეცერსა და ჩოლურში. ლატალში გვაქვს საგვარეულო ციხე-კოშკი. უშგულში გადასულ წინაპარს საკუთარი გვარის სალოცავი „ფუსი“ დაუარსებია. ამ სალოცავში იკრიბებიან ყოველი წლის აგვისტოს პირველ კვირა დღეს ჩარკვიანები. წელგამოშვებით გკლავთ ხარს და ცხვარს. ეცერის მკვიდრი ჩარკვიანების ლამხუბია „თხვარიშა“ მეთხურ — მონადირე.

გარდა სვანეთისა, ჩარკვიანები მასიურად მკვიდრობენ ლეჩხუმსა (სოფლები: თაბორი, ნაკურალეში, ჩხუტელი) და იმერეთში“.

უდავოა, რომ ჩარკვიანთა იმერეთში დამკვიდრებაც მეფის მიერ საიმედო, დასაყრდენ ხალხთან შორის მოაზრებულ სვანი ვარგების გადმოსახლების დროინდელია. ჩარკვიანები ბოლომდე აზნაურები იყვნენ იმერეთში. იყვნენ აგრეთვე სასულიერონიც. XIX საუკუნის ორმოციანი წლების აღწერის მასალებით, გვოშტიბში აზნაურები იყვნენ, ქლიში, ოზჩაში, სვირსა და ქვიტირში კი — სასულიერონი.

ჩარკვიანთა იმერეთში დიდი ხნიდან მკვიდრობას საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ერთეულის ანთროპოტოპონიმებიც ადასტურებენ: „ჩარკვიანის ადგილი“ (სახნავი გეგუთში); „ჩარკვიანისოული“ (ვენახი პირველ ოზჩაში); „ჩარკვიანების ბალი/ხუმლიანი ბალი“ (სახნავი ხომულში) (საქართველოს ტოპონიმია, 2003, გვ. 346).

ჩარკვიანები დამკვიდრებულან სამეგრელოს სოფლებში: აბაშა, თაია, ზუმი, საჯიჯაო. პ. ცხადაიას დადასტურებული აქვს ტოპონიმი „ლეჩარკვიანე ხაბარელში“. ასეთი გადმოცემაც არსებობს: „აქ წინათ ჩარკვიანებს უცხოვრიათ. მერე თაიაში გადასულან“ (პ. ცხადაია, 2000, გვ. 150).

დარიშხანის წარმოების გახსნის შემდეგ, დაახლოებით XX საუკუნის ოცდაათიან წლებში ჩამოსულან უშგულიდან **ხაჭვანები** სოფელ ცანაში და შემდეგ დანარჩენ ქვემო სვანეთში“.

„ხაჭვა“ რაჭულ დიალექტში ხაჭოს მნიშვნელობით გამოყენებული ტერმინია (ალ. ლლონტი, 1984, გვ. 743).

მულახიდან გადმოსახლებული **ქოჩქიანები** მკვიდრობენ ზესხოსა და ცანაში. „გოჯი ქოჩქიანის რჩევით წინაპარი პირველად ზესხოში ჩამოსულა. ზესხოს მკვიდრი მურად ქოჩქიანი ზედსიძედ შევიდა ცანელ ნიქარაძეებში. „ქემეშა“, „თანდულშა“, მუქალშა“ და „ბალშა“ ქოჩქინები ერთი ლამხუბია.

<sup>3</sup> ნიქარაძეების საგვარეულო გერბი არის თბილისის მკვიდრ რონალდ ნიქარაძესთან.

გვარის საგვარეულო სალოცავია მულახის, წმინდა ბარბარეს სახელობის სალოცავი და მას ილოცავენ ბარბარობის დღესასწაულზე“.

გვარსახელი **ჩარქსელიანი** ჩარქსელიანი/ჩარქსანი/ჩარქსადის ფორმითაა მოხსენიებული. მურყმერის (უშგულის თემის სოფელი — ნ.ნ.) მაცხოვრის ეკლესიაზე ასეთი წარწერაა: “ს(უ)ლსა მდრდ(ე)ლს (!) რომანოზს ჩარქს(ელ)-იანს შ(ე)უნდოს დ(მერ)თ(მან) (ვ. სილოგავა, 1988, გვ. 327, 538).

ქვემო სვანეთის სოფელ ცანაში მკვიდრობს ჩარქსელიანთა ორი ოჯახი. უშგულის, მურყმელის მაცხვარიშის ყმები არიან “კოკოშა“, “დიდაშა“, “მაზიშა“ ლამხუბის ჩარქსელიანები.

სვანეთის წერილობითი ძეგლები იცნობენ არიშ **ღვაჩელიანს** და მის შვილს **ბეჟანს**.

არ არის გამორიცხული, რომ ღვაჩლიანების/ღვარჩლიანი ლამხუბი “ბეჟნაიშა“ მომდინარეობს არიშ ღვაჩლიანის შვილის - ბეჟანის სახელიდან. “სვანურად რკინას ჰქვია “ბერეჟი“.

ისტორიის სიღრმეში იღებს სათავეს ქვემო სვანეთის მკვიდრი **ონიანების** გვარი. სვანურ სულთა მატრიანებში გვარსახელი იხსენიება XIV-XV საუკუნეებიდან. სვანეთის ისტორიული საბუთები იცნობენ დაწერილის გათავეების თავლებს შოლუა ონიანს (ვ. სილოგავა, გვ. 553).

ეთნოგრაფიული მასალა: “წინაპარი ზემო სვანი, გვარად **არღვლიანი** ყოფილა. ამჟამად ონიანები ცხოვრობენ მელეში, სასასსა და ლამფაში. ჩვენი ლამხუბებია: “გოტაშერი“, “ხუზიაიშა“. სალოცავი გვაქვს მელეს ჯგრაგ (წმინდა გიორგი) და ულშათარი გზელ, სოფელ მახაშის (ლენტეხის რაიონის სოფელი — დ.შ.) ეკლესია (მთბრობელი ფაქი ონიანი).

გვარსახელის ეთნოისტორიული კვლევა არაერთ ცნობას გვაწვდის სვანთა თავდაპირველი განსახლების, სოციალური, ყოფითი ცხოვრების შესახებ. 1. გვარსახელი უნდა მომდინარეობდეს ისტორიულ დღევანდელ სამეგრელოში გავრცელებული სახელიდან ონ-ი (ალ ლლონტი, 1986, გვ. 173). აღნიშნული კიდევ ერთ საერთოქართულ სინამდვილეს ადასტურებს. კერძოდ, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ერთი ანთროპონიმული სისტემა მოქმედებდა. სახელები და სახელრქმევის წესი ერთი იყო; 2. დგინდება ერთი წინაპრიდან მომდინარე საერთოქართველური ნათესაური თვითშეგნება. რომ ერთი წინაპრიდან მომდინარე სხვა ქართველთა გვარების მსგავსად, ონიანებშიც დიდია ერთიანობის რეალობა. ერთი ლამხუბის წევრებს, ერთი სალოცავის ყმებს შორის ყოველთვის დაცული იყო მონოგამიურობა. წერს რა სადაღეშქელიანო და თავისუფალ სვანეთზე, ბესარიონ ნიჭარაძე ეხება ონიანების გვარსაც: “თემი იყო ერთი გვარეულობა, შთამომავლობა საერთო წინაპრისა. ერთი გვარეულობის წევრნი ყოველ ადგილს, მხარეს და ყოველ დროს, რა გინდ ძლიერაც გამრავლებულიყვნენ, იცავდნენ, ინახავდნენ ურთიერთს შორის მჭიდრო კავშირს. მაგალითები: სადადიანო სვანეთში, ლაშხეთის საზოგადოებაში, რვა სოფელში, ერთი მეორეზე დაშორებულში, სცხოვრობს ერთი გვარეულობა — “ონიანი“ სამოც კომლამდე. ეგენი ერთმანეთს ისე სახავენ, თითქოს ძლიერ მონათესავენი იყვნენ, თუმცა მათი ერთმანეთისაგან დაშორება შორს წარსულს ეკუთვნის. ონიანების თემი ჭირსა და ლხინში განუყრელნი არიან“... (ბ. ნიჭარაძე, 1962, გვ. 106).

ლენჯერის თემის სოფლების — ლაშთხერის და სოლის მკვიდრები არიან **უდესიანები**. მთავარანგელოზის ეკლესიის ყმა უდესიანებს ორი ლამხუბი აქვთ: “დავთოშა“ და “ნატროშა“.

საისტორიო მეცნიერებაში არაერთგზისაა აღნიშნული ქართულ გვართა სადაურობა-წარმომავლობის ამსახველი ეთნოგრაფიული მასალების მნიშვნელობაზე ქართველთა ეთნოისტორიული ყოფის შესწავლის საქმეში. იგივე შეიძლება ითქვას სვანეთის რამდენიმე სოფლის მკვიდრი ზოგიერთი გვარის ისტორიის ამსახველ მასალაზე.

სვანეთი ძირითადად სოციალური დაპირისპირების შედეგად გაქცეულ ქართველთა თავშესაფარი იყო; სვანეთიდან გადასახლებას ძირითადად იწვევდა: გადამეტსახლება, სოციალური დაპირისპირება; მეფის სამსახურში ყოფნა. სვანეთიდან "დანარჩენ საქართველოში" გადასახლებულსაც და იქ ჩასახლებულსაც ქართული ენა, კულტურა და ეთნოგრაფიულად მცირედ განსხვავებული ყოფითი გარემო ხვდებოდა. გვართა ეთნოისტორიული კვლევისას დასტურდება: ა) საქართველოს მთის, სვანეთის მოსახლეობა მართლაც იყო მეფის "საიმედო დასაყრდენი"; ბ) საერთოქართული სინამდვილისათვის დამახასიათებელი, ეთნოსის შინაარსისაგან დაკლილი თემებად ცხოვრების შემთხვევები; გ) სვანეთის ბუნებრივი წესი — ერთიანი საქართველოსადმი ლოცვისა; დ) ჩვეულებითი სამართლის წესები; ე) სვანები არა მხოლოდ სვანეთს მკვიდრობდნენ ისტორიულად; ვ) საქართველოს რუსეთთან ურთიერთობის დასაწყის პერიოდში ქვეყნის ადმინისტრაციული მოწყობის, მახრებად დაყოფის წესი; ზ) სვანური კილოს ქართული შინაარსის კუთხურ-დიალექტური ფორმები.

#### ლიტერატურა

- ნ. ბერძენიშვილი, 1990 - ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1990.
- გ. ბოჭორიძე, 1994 - გ. ბოჭორიძე, რაჭა-ლეჩხუმის ისტორიული ძეგლები და სიძველეები, თბ., 1994.
- გ. ბოჭორიძე, 1995 - გ. ბოჭორიძე, იმერეთი, თბ., 1995.
- რ. თოფჩიშვილი, 1993 - რ. თოფჩიშვილი, ლეჩხუმური გვარსახელები, თბ., 1993.
- ს. კაკაბაძე, 1921 - ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. I, ტფ., 1921.
- მ. კეზევაძე, 2004 - მ. კეზევაძე, ქართული გვარსახელები იმერეთში, ქუთაისი, 2004.
- პალ, 1991 - პირთა ანოტირებული ლექსიკონი, I, თბ., 1991.
- პალ, 1993 - პირთა ანოტირებული ლექსიკონი, II, თბ., 1993.
- პალ, 2004 - პირთა ანოტირებული ლექსიკონი, III, თბ., 2004.
- საქართველოს ტოპონიმია, III, თბ., 2003.
- სვანეთის წერილობითი ძეგლები, ვ. სილოგავას რედაქციით, თბ., I - 1986, II - 1988.
- ო. სოსელია, 1981 - ო. სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან, II, თბ., 1981.
- ქსძ, 1988 - ქართული სამართლის ძეგლები, II, თბ., 1988.
- ალ. ღლონტი, 1986 - ალ. ღლონტი, ქართველური საკუთარი სახელები, თბ., 1986.

დ. შავიანიძე, 2007 - დ. შავიანიძე, ქართული გვარსახელები, ქუთაისი, 2007.

ბ. ცხადაია, 2000 - ბ. ცხადაია, გვარები და გვართა დასახლებანი საქართველოში, თბ., 2000.

ივ. ჯავახიშვილი, 1965 - ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, თბ., I - 196; II - 1965.

## DAVID SHAVIANIDZE

### FROM THE ETHNO-HISTORY OF THE GEORGIAN PEOPLE

(Based on the ethnographic materials of some Villages of Svaneti)

The importance of studying ethnographic materials of ethno-historic existence has often been attested in the historical Literature. The same is true to the inhabitants of some villages of Svaneti and family names reflecting a certain history of the people. The ethno-historic study of some family-names in villages of Svaneti asserts that there had been migrations from the different parts of Georgia to Svaneti. However, the local population excludes the fact of their movement to Svaneti and identify themselves as original communities putting emphasis on their shrines and kinship with other Svan families whose originality cannot be questioned.

On the other hand, Svans living outside their original regions attest that they migrated to other parts and periods of Georgia for the lack of living space, social conflicts and their particular loyalty to the crown of the Georgian kings.

The ethno-historic study of family names shows that: a) The population of Svaneti was really regarded as the special "reliable pivot" for Georgian Kings; b) there are instances of living in communities with weakened ethnic traits giving preference to the general Georgian realities; c) Svans have natural rules and disposition to praying for the entire Georgian nation; d) observance rules of customary law; e) Historically Svans live not only in Svaneti but in various parts of Georgia; f) at the early stage of Russian rules in Georgia the country's ethnic difference was used as basis for the administrative divisions; g) Svan vernacular has dialectal varieties.